NONFICTION

ზოთა იათაშვილი

მკვლელი მწერლები

დოკუმენტური ჰორორი

დიდიგენე
NONFICTION

შოთა იათაშვილი
მკვლელი მწერლები
დოკუმენტური ჰორორი

რედაქტორი: ლალი ქადაგიძე
სერიის დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი
დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-939-2

www.diogene.ge

სარჩევი

წინათქმა 9

ვერშემდგარი მკვლელები 11

ისინი, ვისაც შემოაკვდა 39

დუელიანტები 65

ტერორისტები და პოლიტიკური მკვლელები 86

სამხედრო დამნაშავეები 140

მძარცველები და თაღლითები 149

შურისმაძიებლები 163

მკვლელები ეჭვიანობის ნიადაგზე 170

ოჯახის წევრთა მკვლელები 183

მკვლელები არაფხიზელ მდგომარეობაში 212

არასრულწლოვანი მკვლელები 217

ბუნდოვანი საქმეები 226

სერიული მკვლელები და მანიაკები 243

კანიბალები 260

ბოლოთქმა 268

ცნობარი 271

„ყველაზე უბრალო სიურრეალისტური აქტია, აიღო რევოლ-ვერი, გახვიდე ქუჩაში და რამდენადაც ეს შესაძლებელია, ალალ-ბედზე დაუწყო სროლა ბრბოს“.

ანდრე ბრეტონი, „სიურრეალიზმის მეორე მანიფესტი“

წინათქმა

ამ წიგნის დაწერის იდეა 2024 წლის 15 მაისს გაჩნდა, იმ დღეს, როცა სლოვაკმა პოეტმა იურაი ცინტულამ თავისი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო მძიმედ დაჭრა. როგორც კი ამ ინფორმაციას გადავეყარე, მაშინვე დავიწყე ძიება, ვინ იყო ეს ადამიანი და ვცდილობდი, გავრკვეულიყავი, რამ აიძულა იგი, ასეთი რადიკალური, სრულიად არაჰუმანური ნაბიჯი გადაედგა.

მწერალი და მკვლელი? თითქოს ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი ცნებები იყო. თუმცა მაშინვე გამახსენდა ორიოდე შემთხვევა ლიტერატურის ისტორიიდან, როცა ადამიანური მსხვერპლი მწერლის იმ ხელმა გამოიწვია, რომელსაც ნაცვლად იარაღისა, კალამი უნდა ეჭიროს წესით. გამახსენდა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ფრანსუა ვიიონი, დავით წერედიანის გამოისობით ყველამ თითქმის ზეპირად რომ ვიცით, შემდეგ – უილიამ ბეროუზი... მაგრამ ეს ცოტა იყო. და აქ დავფიქრდი: ნეტა სინამდვილეში რამდენია მწერალი, უნებლიეთ თუ წინასწარგანზრახვით კაცის მკვლელი დედამიწის ზურგზე? და დავიწყე ინტერნეტში ქექვა. ამომიყარა და ამომიყარა... აღარ თავდებოდა. შეძრწუნებული ვკითხულობდი მთელ ამ ინფორმაციას და ვცდილობდი, ეს ყველაფერი გამეაზრებინა და ფსიქოლოგიური თუ იდეოლოგიური მოტივების მიხედვით დამელაგებინა... მერე გრიგოლ ჩხარტიშვილის წიგნი „მწერალი და თვითმკვლელობა“ (2000) გამახსენდა, შთამბეჭდავი ნამუშევარი მოგროვილი მასალის და მისი სხვადასხვა ასპექტით გაანალიზების თვალსაზრისით. გავიფიქრე, თუ ასეთი წიგნი არსებობს, განა ნაკლებად საინტერესო

იქნება, თუკი „მწერალი და მკვლელობაც“ დაიწერება? ანდა უფრო ხისტად და პირდაპირ რომ ვთქვათ – „მკვლელი მწერლები“? გაცილებით საშიში თემაა, მაგრამ მერე რა. მწერალი ხომ თემას არანაირად არ უნდა უფრთხოდეს. და ასე იოლად გადავწყვიტე.

თემას კი ისედაც საკმაოდ ღრმად ჩავეთრიე. უკვე რამდენიმე დღე იყო, დილიდან საღამომდე მკვლელი მწერლების თავზარდამცემ ისტორიებს ვკითხულობდი, მერე კი მათ ნაწერებს ვეძებდი. ხან ვპოულობდი, ხან ვერა, რადგან ამ მკვლელებს შორის, ცხადია, ყველა ვიიონი და ბეროუზი არ იყო, ნიჭმა და ნაწერებმა არ გახადა ისინი ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი. საკმაოდ ხშირად პირიქით იყო: მკვლელობამ გახადა ისინი პოპულარულები და ამან გამოიწვია დაინტერესება მათი ნაწარმოებებით – ხშირად საშუალო ან სულაც დაბალი დონის ტექსტებით. მაგრამ აქ უკვე დიფერენციაცია არ მოსულა. ასეთია თუ ისეთი, მწერალი მაინც მწერალია და თუ ბედისწერის ძალით მკვლელია, ესე იგი წიგნის პერსონაჟადაც უნდა იქცეს.

მალე დალაგდა გონებაში მისი სტრუქტურა, მალე მივხვდი, რომ მართლა შევძლებდი მის დაწერას. რა თქმა უნდა, წიგნი კომპილაციურია და სხვანაირად ვერანაირად ვერ იქნებოდა, მაგრამ იმედია, აქ მთავარი მაინც თხრობა იქნება, ის, თუ როგორ მოგიყვებით ამდენ დამზაფრავ ისტორიას, როგორ შეგიყვანთ მათში, როგორ გადაებმება ეს ამბები, ქვეყნები, ეპოქები, მკვლელობის მოტივები და ამ ბედკრული ავტორების ტექსტთა ფრაგმენტები ერთიმეორეს და საბოლოოდ რა დარჩება ყოველივე ამისგან: ცხადია, დადებითი განწყობა არა, მაგრამ მაინც რა? დამწყევლით იმისთვის, რომ ამ „წესიერმა ლიტერატორმა“ ასეთ კოშმარულ საქმეს მოვკიდე ხელი თუ მაინც არა? ხელოვანის შინაგანი სამყაროს ყველაზე ბნელ კუნჭულებში შეჭყეტის მორიგ მცდელობად აღიქმება ეს ნამუშევარი თუ წმინდა წყლის პროვოკაციად? არ ვიცი და ჯერჯერობით ვერც ვხვდები... და, მგონი, ჯობს, აღარც გავწელო ეს გულწრფელი წინათქმა და აქვე მოვამთავრო. თქვენ კი, ვინც ეს წიგნი გადაშალეთ და ტანში გაგცრათ, გაძლება და კარგად ყოფნა გისურვოთ. აბა, გაიმაგრეთ გული და დავიძარით!..

ვერშემდგარი მკვლელები

ჯერ ასე. შედარებით მსუბუქად. რომ თანდათან მივუახლოვდეთ თემას, უფრო მძიმე შემთხვევებს, უფრო დაუჯერებელ სისასტიკეებს. ჯერ ისინი გავიხსენოთ, ვინც ბედისწერამ ბოლო მომენტში დაინდო და მკვლელის იარლიყი არ მიაწება სიცოცხლის ბოლომდე. ასეთი შემთხვევა ალბათ გაცილებით მეტია და რაკი ფინალი ტრაგიკული არ აღმოჩნდა, სავარაუდოდ, ბევრი მათგანი სადღაც ჩაკარგული და მივიწყებულიც კია... მაგრამ ზოგიერთი შემთხვევა მიზეზთა გამო მაინც შემოგვინახა ისტორიამ, თუ სულაც თანამედროვე მედიამ, რადგან ახალი ეპოქის მწერლები არანაირად არ ჩამორჩებიან ძველებს ამ ბოროტ საქმეში და ზოგჯერ ჯობნიან კიდეც ფანტაზიითა და მანკიერებით.

ჰოდა, რაკი ასეა, მეც სულ რაღაც ათი წლის წინანდელი ამბით დავიწყებ. ჩემ მიერ მოძიებულ ისტორიებს შორის ყველაზე კომიკურით. ვინ იფიქრებს, რომ მსგავს წიგნში, შეიძლება, რამე სასაცილო და საოხუნჯო იყოს. მაგრამ ხდება ხოლმე ასეც, ყველაფერი ხდება...

მოკლედ, ახალგაზრდა ინგლისელმა მწერალმა რიჩარდ ბრიტენმა 2014 წლის 11 სექტემბერს ვებსაიტ Wattpad-ზე თავისი რომანი „The World Rose“ გამოაქვეყნა. ამ საიტზე მკითხველს ნაწარმოების კომენტირება და რეიტინგული შეფასება შეეძლო. მკითხველი კი, ყველამ უწყით, ათასი ჯურისაა, ყველას თავს ვერ მოაწონებ. მით უმეტეს, ამ თინეიჯერების გემოვნებას რას გაუგებ. არცა აქვთ ამ

დროს, როგორც წესი, გემოვნება ჩამოყალიბებული. თან ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან და ესმით. ცოტა თავხედებიც არიან. და ერთმა 19 წლის გოგონამ, პეიჯ როლანდმა, სწორედ ასე წაითავხედა რიჩარდთან: ამდენი სისხლითა და ოფლით დაწერილ რომანს მოსაწყენი და პრეტენზიული უწოდა და ხუთიდან მხოლოდ ერთი ვარსკვლავი გაიმეტა მისთვის. გაბრაზდა რიჩარდი, გაცეცხლდა, დაბდღვნა ირგვლივ ყველაფერი. მწერლური პრესტიჟის საშინელ შეურაცხყოფად მიიღო. არადა, 21-ე საუკუნეა გარეთ, ზეახალი ტექნოლოგიების ეპოქა. რა უნდა ადამიანის მოძებნას. შეიხედა ფეისბუკზე და აღმოაჩინა, რომ ეს თავგასული გოგო შოტლანდიის ქალაქ გლენროტესში ცხოვრობს, ლონდონიდან სულ რაღაც 800 კილომეტრის მოშორებით. და რა უნდა ამ მანძილის დაფარვას ამ ახალ ეპოქაში? არც არაფერი. ჰოდა, მოახტა სწრაფ მატარებელს რიჩარდი და გაექანა იმ პატარა შოტლანდიური ქალაქისაკენ, უტიფარი თინეიჯერებით რომაა გადატენილი. ჩავიდა და მოძებნა სუპერმარკეტი „ასდა“, სადაც, პირადი ექაუნთის ინფორმაციით, პეიჯი მუშაობდა. მიადგა სასმელის განყოფილებას, აიღო ღვინის ბოთლი და დაუდარაჯდა დამწყებ ბოროტ კრიტიკოსს. გამოჩნდა მალე ისიც და გასასვლელთან ახლოს ჩაიჩოქა, რათა ქვედა თაროზე პროდუქტები მოეწესრიგებინა. რიჩარდი ზურგიდან მიეპარა, ღვინის ბოთლი მთელი ძალით ჩასცხო თავში და მოკურცხლა. პეიჯი დაეცა, ჭრილობიდან სისხლი წამოუვიდა თქრიალით და გონება დაკარგა. ერთი სიტყვით, სუპერმარკეტის კონსულტანტს ახალბედა მწერლისთვის ლიტერატურული კონსულტაციის გაწევის პრეტენზია ძვირად დაუჯდა, თუმცა, საბედნიეროდ, გადარჩა. საკუთარი პრესტიჟის დასაცავად ასე აგრესიულად მომართული მწერალი კი სათვალთვალო კამერების მეშვეობით იოლად იპოვეს, გაასამართლეს და ორწელიწად-ნახევარი მიუსაჯეს.

ალბათ ძნელია იმის თქმა, რომ რიჩარდს პეიჯის მოკვლა სურდა. უფრო უნდოდა, საქმე გაერჩია, რაღაც სახით გასწორებოდა მას, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, შემოკვდომოდა? თუმცა კი, მიუხედავად „კეთილი დასასრულისა“, მაინც აიკიდა მკვლელის სტატუსი. რიჩარდს ეგრევე „ჰეითერების მკვლელი“ შეარქვეს. და როგორც

ჩანს ამ სახელს იოლად ვერ მოიშორებს. კარგი და ერთმანეთზე უკეთესი წიგნების წერა ამას ვერ უშველის. პირიქით, რაც უნდა საოცარი ტექსტები დადოს, მით უფრო უკეთ გაახსენდებათ, რომ ეს ის ბიჭია, რომელმაც თავის პირველ რომანზე უარყოფითი კომენტარისთვის 19 წლის გოგო მოსაკლავად გაიმეტა.

ის კი წერს და წერს წიგნებს. „ამაზონზე“ ამჟამად მისი ოთხი რომანი დევს. თუმცა გასაგები მიზეზის გამო ყველაზე პოპულარული დღემდე „The World Rose“-ა. ოღონდ არცთუ მაღალი რეიტინგით: 1.9. და არ გაგიკვირდეთ, მაგრამ მიუხედავად ასეთი შემაშინებელი საქციელისა, რიჩარდმა საბოლოო ჯამში მკითხველი დიდად ვერ დააფრთხო და მის 66%-ს პეიჯ როლანდივით ერთი ვარსკვლავი აქვს მონიშნული, წიგნზე გაკეთებულ 130 კომენტარში კი მაინც უარყოფითი შეფასებები ჭარბობს.

„ჰეითერების მკვლელი“ კი „ამაზონის“ გვერდზე საკუთარ თავს ასე პოზიტიურად გვიხასიათებს: „ლონდონში გავიზარდე. ჩემი შთაგონების წყაროს წარმოადგენენ სერ ედუარდ ელგარი, უილიამ შექსპირი და „ბითლზი“. როცა არ ვწერ, მიყვარს სირბილი, ფეხბურთის თამაში, ლაშქრობა და კემპინგი“.

მისი საბედისწერო წიგნი კი, რომლის სათაურშიც უბანალურესი სიტყვების თამაშია და ამით ვითომ ტექსტში ღრმა აზრი დევს (Rose – ვარდი და Rose – ზმნა rise-ის წარსულის ფორმა), როგორც ანოტაცია გვამცნობს, აი, თურმე რაზეა: „ეპიკური ზღაპრული რომანი ვითარდება ნახევრად გამოგონილ ძველთაძველ სამყაროში, რომელიც ბრძოლების, თავგადასავლების, პოეზიისა და კომედიის ელემენტებს შეიცავს. სათაურს სამმაგი მნიშვნელობა აქვს: ცენტრალური პერსონაჟია საყოველთაოდ ცნობილი მზეთუნახავი „მსოფლიოს ვარდი“, ხოლო ვარდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიუჟეტში, გარდა ამისა, იგულისხმება, რომ სამყარო აღდგა. როდესაც რონვინდ დრეიკი შორეულ სამოთხეში საგანძურს მიაგნებს, ახალი ოქროს ხანა იწყება. მაგრამ ელა ტუნდრა აღმოაჩენს, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის, ვინაიდან ჭეშმარიტი სიყვარულისკენ გზაზე მას მრავალი დაბრკოლების გადალახვა უწევს“.

ჰა, ღირს წაკითხვად? თავად გადაწყვიტეთ, მე რჩევის გაცემას მოვერიდები, რადგან ბოთლის ღვინო მთელ მსოფლიოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ავტორებსა და მათ კრიტიკოსებს შორის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა მსუბუქი. ეს ნებისმიერ ეპოქაში იწვევდა გარკვეულ დაძაბულობებს და ზოგჯერ კონფლიქტი უკიდურესობამდეც კი მიდიოდა ხოლმე. თუმცა ადრე მწერლები გაცილებით ღირსეულად იქცეოდნენ. ყოველ შემთხვევაში, უკნიდან მიპარვით და თავში მძიმე საგნის თავში ჩაცხებით არ ცდილობდნენ, თავიანთ ტექსტებზე აუგის მთქმელებს გასწორებოდნენ. თუნდაც იმიტომ, რომ ადრე შეურაცხყოფაზე პასუხის მოსათხოვად დუელი არსებობდა. ბევრი ვიცით ჩვენც დუელი, რომელშიც კალმის ოსტატები მონაწილეობდნენ და ზოგ შემთხვევაში შემოქმედებითი აღმაფრენის პიკში მყოფი მწერლის ცხოვრება ტრაგიკულადაც გაწყდა, მაგრამ ახლა ის გვაინტერესებს, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ავტორი და კრიტიკოსი პირისპირ იდგნენ და იარაღს უმიზნებდნენ ერთიმეორეს. კი ბატონო, ყოფილა ასე და მწერალი იგი იყო ბუმბერაზი. სულ არმსგავსი რიჩარდ ბრიტენის.

ამბავი კი დაიწყო ასე: 1896 წელს მარსელ პრუსტმა ანატოლ ფრანსის დახმარებითა და მისი წინასიტყვაობით თავისი პირველი წიგნი გამოსცა, მოთხრობების კრებული „განცხრომა და დღეები“ („Les plaisirs et les jours“). სხვათა შორის, ძალზე მდიდრულად, სერიოზული მხატვრული გაფორმებით – მუსიკალური პარტიტურებითაც კი – აი, ისე, არტ-ბუქს რომ უწოდებენ ხოლმე ამჟამად და ფრიად მაღალი ფასიც დაადო: 13 ფრანკი და 50 სანტიმი, რაც დღევანდელი დაანგარიშებით, არც მეტი, არც ნაკლები, 40 ევროს უდრის. ამბობენ, ერთ-ერთი მიზეზი წიგნის ჩავარდნისა ესეც იყოო. 1500 დაბეჭდილი ეგზემპლარიდან მთელი 22 წლის განმავლობაში სულ რაღაც 300 ცალი თუ გაიყიდა. მაშინდელ გესლიან ფრანგულ ლიტერატურულ სივრცეში კი წიგნის სიძვირე ხუმრობების საბაბი გახდა. აი, მაგალითად, ერთი მათგანი: „სამართლიანია თუ არა წიგნის ასეთი ფასი? კი, სამართლიანია, რადგან 4 ფრანკი ღირს მადამ ლემერის ნახატები, 4 ფრანკი – რეინალდო ანის პარტიტურები, 4

ევრო – ფრანსის წინასიტყვაობა, 1 ფრანკი – პრუსტის პროზა და 50 სანტიმი – მისი ლექსები“.

ერთი მხრივ, ეს დამცინავი დამოკიდებულება, მეორე მხრივ კი ის, რომ წიგნს თითქმის არ კითხულობდნენ და არ ჰქონდა გამოხმაურება პრესაში, როგორც ჩანს, თანდათან ამწარებდა ახალგაზრდა მარსელს. 1897-ში რაღაც შეფასება მაინც გამოჩნდა. იმ პერიოდის ცნობილმა სკანდალისტმა ჟურნალისტმა და ლიტერატურის კრიტიკოსმა ჟან ლორანმა „განცხრომა და დღეებზე“ რეცენზია გამოაქვეყნა. თუმცა რა დაწერა მან წიგნში შესულ ნაწარმოებებზე, ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მთავარი იყო ის გადაკრული სიტყვები, რომლებითაც ლორანი მწერალზე ჭორაობას ცდილობდა. ის ამბობდა, ანატოლ ფრანსმა წინასიტყვაობა წიგნს იმიტომ დაუწერა, რომ მარსელი მის სამეგობრო წრეშია და ახლა ალბათ ალფონს დოდესაც მოუწევს მისთვის წინასიტყვაობის დაწერა, რადგან მისი ვაჟი ლუსიენი და მარსელი ერთმანეთთან ურთიერთობაში არიანო. ჰომოსექსუალური მინიშნებები უფრო რომ გაემძაფრებინა, მან, არადა თავადაც ჰომოსექსუალმა, ახალგაზრდა მწერალს „ლიტერატურისგან დაორსულებული“ უწოდა. ეს სხვა დროა, ქამინგ-აუთის ეპოქა ჯერ არ დამდგარა, ამიტომაც განრისხებულმა პრუსტმა ლორენი დუელში გამოიწვია.

და 5 თებერვალს პარიზის სამხრეთ-დასავლეთით, მედონის ტყეში, წვიმიან ამინდში მწერალი და ენატლიკინა კრიტიკოსი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. მათ შორის მანძილი 25 ნაბიჯით გაიზომა. პირველმა პრუსტმა გაისროლა. ტყვია ლორანის ფეხთან დაეცა. ლორანის გასროლილიც, საბედნიეროდ, ასცდა მიზანს და „დაკარგული დროის ძიებაში“ დაუწერლობას გადაურჩა.

1904 წელს პრუსტი დღიურში ჩაწერს, რომ ერთადერთი, რაც მას დუელის დანიშვნის შემდეგ აღელვებდა, იყო ის, რომ იგი დილით არ შემდგარიყო, რადგან ძალიან უჭირდა ადრე ადგომა. დუელი შუადღისას გაიმართა და როგორც თვითმხილველები იხსენებენ, მუდამ ავადმყოფობებით გაწამებულმა, სუსტმა და ნერვიულმა პრუსტმა იმ მომენტში მართლაც დაუჯერებელი სიმტკიცე და

ცივსისხლიანობა გამოიჩინა. მარსელი უშიშარი და აუღელვებელი იყო. და, საერთოდ, ის ასეთი იყო. როგორც მისი მეგობარი, პოლ მორანი, წერს, „ის გიყურებდა პირდაპირ თვალებში, დ'არტანიანივით, უკან გადაწეული თავით. ძალიან თამამი იყო". და ამ ხასიათის გამოხატულებაა ალბათ ისიც, რომ ლორანთან შერკინების შემდეგ პრუსტს კიდევ რამდენიმე დუელი ჰქონდა, ოთხი თუ ხუთი.

მწერლისა და კრიტიკოსის დაჯახებაა თომას მურისა და ფრენსის ჯეფრის ისტორიაც. მურმა ამერიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებით დაწერა წიგნი „Epistles, odes and other poems", სადაც მწარედ აკრიტიკებდა ამ ქვეყნის წყობას, განსაკუთრებით კი მონათმფლობელობას. იდეოლოგიური თავდასხმები მურს შეეძლო აეტანა, მაგრამ ვერ აიტანა კრიტიკოს ფრენსის ჯეფრის დადანაშაულება ამორალურობაში. საბოლოოდ, 1806 წელს მათ შორის დუელი დაინიშნა ლონდონის გარეუბანში. მაგრამ ის ვერ შედგა, რადგან უეცრად ადგილზე პოლიცია გაჩნდა და შეკრებილები დაშალა. ამაზე მერე ჭორები აგორდა. ამბობდნენ, რომ ასეთი სცენარი წინასწარ იყო ჩაფიქრებული და მოწინააღმდეგეთა პისტოლეტებიც არ იყო დატენილი. განსაკუთრებით აქტიურობდა ბაირონი. თავის ტექსტებში ის დუელიანტებს „უმწიკვლო პისტოლეტების" გამო დასცინოდა. ამაზე თომას მური კიდევ ერთხელ გაშმაგდა და 1809 წელს ახლა ბაირონი გამოიწვია დუელში. მაგრამ არც ეს დუელი შედგა, რადგან ამ მოთხოვნით გაგზავნილმა წერილმა ადრესატამდე დროულად ვერ მიაღწია – ლორდი სამოგზაუროდ იყო წასული. ხოლო 1811 წელს, როცა ის მოგზაურობიდან დაბრუნდა, მურისთვის პირველ გაცხარებას უკვე გადაევლო, ბაირონმაც მოუბოდიშა და ისინი მალე მეგობრები გახდნენ.

თითქოს საჭოჭმანო საკითხია, ვახსენოთ თუ არა ამ თავში ალექსანდრ პუშკინი, რადგან ის თავადაა დუელის მსხვერპლი, მაგრამ მისი გამოტოვება მაინც არანაირად არ იქნება მართებული, თუნდაც იმიტომ, რომ დუელები მისი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, პუშკინს დაახლოებით 30 დუელი ჰქონდა დანიშნული. მართალია, მათი უმრავლესობა გასროლამდე

არ მისულა და გაუქმდა, მაგრამ პოეტი ხუთჯერ მაინც იყო „ცეცხლის ხაზზე“. მოპაექრე მხოლოდ ერთხელ დაჭრა და ისიც საბედისწერო დუელში – 1837 წლის 27 იანვარს ჟორჟ დანტესმა პირველმა ესროლა და ტყვია მუცელში მოარტყა. დაჭრილმა პუშკინმა შეძლო, საპასუხოდ ესროლა და დანტესს მკერდთან აფარებული ხელი გაუხვრიტა. ტყვია ხელიდან მუნდირის რკინის ღილს მოხვდა, აისხლიტა და ნეკნებს შორის გაიარა. ანუ ფაქტობრივად, ამ ღილმა გადაარჩინა დანტესი სიკვდილს. და რომ არა ეს, მართალია, დიდი პოეტი მაინც დუელის მსხვერპლად დარჩებოდა ისტორიაში, მაგრამ ამავე დროს მკვლელის სტატუსიც შეემატებოდა. რაც შეეხება შემდგარ წინა დუელებს, ოთხიდან ორ შემთხვევაში პუშკინმაც და მისმა ოპონენტმაც ტყვია ერთმანეთს ააცილეს, ორჯერ კი თავდაპირველად პოეტის მეტოქემ გაისროლა, მან კი საპასუხო სროლაზე უარი განაცხადა. ამ შემთხვევებიდან განსაკუთრებით საინტერესო 1822 წლის ამბავია. პუშკინმა პრაპორშჩიკი ზუბოვი ბანქოს თამაშისას ყალთაბანდობაში გამოიჭირა. ზუბოვმა ის დუელში გამოიწვია. პუშკინი დუელის ადგილას მივიდა „ფურაჟკით“, რომელშიც ბალი ეყარა. როცა ზუბოვი იარაღს უმიზნებდა, პოეტი ბარიერთან იდგა და ამ ბალს მიირთმევდა.

ნამდვილად მოსაყოლი ისტორიაა, მაგრამ მოდი, ნუღარ გავყვებით მწერლებსა და მათ ოპონენტებს ამ ორთაბრძოლებში და საერთოდ, იმ დუელების აღწერას თუ მივყოფთ ხელს, რომლებიც ფატალური შედეგით არ დასრულებულა და რომლებშიც მწერლებს მონაწილეობა მიუღიათ, ეს ძალიან შორს გაგვიტაცებს და საჭირო ხაზს საკმაოდ აგვაცდენს. დუელების ისტორია ცალკე დიდი თემაა და ამ თემაზე წიგნებიც დაწერილა. ქართულადაც კი: როსტომ ჩხეიძის „ქართული დუელიანა“, სადაც „ჩვენებური“ დუელებია აღწერილი, ძირითადად ვერშემდგარი, არასერიოზული და, საბედნიეროდ, ყველა უმსხვერპლოდ დასრულებული; და მათი მონაწილეები ძირითადად მწერლები არიან: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ მჭედლიშვილი...

მაგრამ ერთი კითხვა აუცილებლად უნდა დაისვას, ისე ამ თემას ვერანაირად ვერ გავექცევით: მადლობა ღმერთს, ჩვენთან არა, მაგრამ საერთოდ თუ ყოფილა ისეთი დუელი, სადაც მწერალმა თავისი მეტოქე დაჭრა, სადაც სისხლი დაიღვარა? კი ბატონო, ვიცით შემთხვევები, როცა მწერლებს ჭრიდნენ და კლავდნენ, მაგრამ ჩვენ პირიქით გვაინტერესებს... რა კითხვაა, რა თქმა უნდა, მომხდარა და არაერთხელაც. საბედისწეროდ დასრულებულ დუელებზე ცალკე თავში მოგითხრობთ, მანამდე კი მკვლელის დამღას გადარჩენილი კიდევ ერთი კლასიკოსი მწერალი გავიხსენოთ.

1569 წლის 15 სექტემბერს 21 წლის მიგელ დე სერვანტესმა სამეფო კარის მიდამოებში მძიმედ დაჭრა ვინმე ანტონიო დე სეგურა. როგორც ამბობენ, მან სეგურა დის შეურაცხყოფისთვის გამოიწვია საპაექროდ. სამეფო კარმა მაშინვე სერვანტესის დაპატიმრების ბრძანება გასცა და სწორედ ამის გამო მოუწია მას კასტილიის დატოვება და რომში გაქცევა. შეიძლება ითქვას, რომ აქედან დაიწყო მისი თავგადასავლები და ავანტიურული ცხოვრება: ომები და ლაზარეთი, ტყვეობა და ციხე. სერვანტესის ბიოგრაფია ბევრ მონაკვეთში საკმაო ბუნდოვანებითაა მოცული და არც ამ დუელის დეტალებია კარგად ცნობილი. ამიტომაც არ გამომივა მოგითხროთ, როგორ წარიმართა ეს შერკინება, როგორ დაჭრა ახალგაზრდა მიგელმა თავისი მოწინააღმდეგე, ვინ ესწრებოდა ამ ორთაბრძოლას... ამ ჯერზე ასეთი მოკლე ცნობით დავკმაყოფილდეთ და ორ ფრანგ კლასიკოს პოეტს შორის მომხდარ კონფლიქტზე გადავერთოთ.

1873 წლის 10 ივლისს ბრიუსელის ერთ-ერთ ოტელში 29 წლის პოლ ვერლენმა თავის საყვარელს, 18 წლის არტურ რემბოს, ეჭვიანობის ნიადაგზე წყობიდან გამოსულმა ორჯერ ესროლა. პირველი ტყვია რემბოს მაჯაში მოხვდა, მეორე კი – კედელს, აისხლიტა და კვამლსადენში შევარდა. აფექტის მდგომარეობიდან გამოსულმა და საკუთარი საქციელით შეძრწუნებულმა ვერლენმა რემბოს იარაღი მიაწოდა და სთხოვა, ესროლა მისთვის. რემბომ იუარა და ისინი ერთად გაეშურნენ საავადმყოფოში ჭრილობის დასამუშავებლად. მაგრამ გზად ვერლენი ისევ აუხირდა თავის საყვარელს, ისევ

დააძრო პისტოლეტი და რემბოს მოუწია, შველა პოლიციელისთვის ეთხოვა. ეს მათი ხანმოკლე, მაგრამ ბობოქარი სასიყვარულო ისტორიის დასასრული აღმოჩნდა. ვერლენი ორი წლით ციხეში ჩასვეს, მაჯაში დაჭრილი რემბო კი მშობლიურ ქალაქ შარლევილში დაბრუნდა და იქ დაასრულა თავისი წიგნი „ერთი სეზონი ჯოჯოხეთში“, რომელიც სიმბოლიზმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად იქცა. ავტორმა გამოცემული კრებულის ერთი ეგზემპლარი ციხეში მჯდომ ვერლენს შეუგზავნა. აჰა, ნახე, შენზე უკეთ ლექსებს ვწერ და გასკდი ბოღმით შუაზეო – ეს უნდოდა ეთქვა ვითომ? თუ – მიყვარხარ მაინც, მიუხედავად იმისა, რომ სასიკვდილოდ გამიმეტეო?.. რას გაიგებ... ისე კი ამ ორი ფრანგი კლასიკოსის, ორი „დაწყევლილი პოეტის“ სასიყვარულო ისტორია თავისი ბოჰემურობით, აბსენტითა და ჰაშიშით, თავისი მანკიერებებითა და სიგიჟეებით ძალზე ცნობილია, ამიტომ მისი გამეორებით თავს აღარ შეგაწყენთ. სიმბოლურად ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ 2016 წელს „კრისტის“ აუქციონზე ის პისტოლეტი, საიდანაც ვერლენმა რემბოს ესროლა, 434,5 ათას ევროდ გაიყიდა.

და ბარემ აქვე სასტუმროსთან გადაჯაჭვული ერთი ამბავიც გავიხსენოთ – ჩილელი სიურრეალისტი პროზაიკოსისა და პოეტის, მარია ლუიზა ბომბალის. მას ჩილეს ორი პრეზიდენტის შთამომავალი, მდიდარი მემკვიდრეობის მქონე და რაც მთავარია, თავისი ქვეყნის ავიაციის პიონერი, ელოჯიო სანჩეს ერაზურისი უყვარდება თავგადაკლულად მას შემდეგ, რაც პარიზში ლიტერატურისა და ვიოლინოს შესწავლის შემდეგ სამშობლოს უბრუნდება. ელოჯიო მაინცდამაინც არ იზიარებს მის გრძნობებს და არც ლიტერატურა აინტერესებს დიდად – როგორც ჩანს, თავის თვითმფრინავებზე ფიქრი გაცილებით ეპოეტურება. მარია ლუიზა სატრფიალო წერილებს სწერს თავის რაინდ ავიატორს. ის თავიდან პასუხობს, მერე წყვეტს ეპისტოლარულ ჟანრში მუშაობას, სიურრეალისტი პოეტი კი დეპრესიაში ვარდება. მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება... და ის შეყვარებულის სახლში მოწყობილ წვეულებაზე მიდის. იმ ოთახში შედის, სადაც ელოჯიო სანადირო თოფს ინახავს და ცდილობს, თა-

ვი მოიკლას. მართალია, ტყვია ყელში ხვდება, მაგრამ რაღაცნაირად ცოცხალი დარჩება. თუმცა კი სასოწარკვეთილ პოეტს ამ ჭრილობისგან მიღებული იარა სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება.

ფატალურ სიყვარულს რამენაირად რომ მოარიდოს, მეგობარ პაბლო ნერუდას ის არგენტინაში მიჰყავს და რაღაც ხანს თავისთან აცხოვრებს. მაგიდის ერთ მხარეს პაბლო ზის და მუშაობს, მეორე მხარეს – მარია ლუიზა... ახალგაზრდა ლიტერატორს კონსულად ნიშნავენ, იწყება ნაცნობობა ბორხესთან, ლორკასთან, პირანდელოსთან, მისტრალთან, ვიქტორია ო'კამპოსთან, იმ პერიოდის ბუენოს-აირესის სახელოვნებო არისტოკრატიასთან... ყველანი ახალგაზრდები არიან, ენერგიულები... მარტო ლიტერატურაზე საუბრით არ იქცევენ თავს. მარია ლუიზა ბორხესთან ერთად ტანგოსაც ცეკვავს ხოლმე... აქვე გამოსცემს ის თავის პირველ წიგნს „უკანასკნელი ნისლი" (La última niebla,1934) და 25 წლის ასაკში მხატვარ ხორხე ლარკოს მიჰყვება ცოლად. თუმცა ხორხე ჰომოსექსუალისტია, ქორწინება კი – ფიქტიური. დიდხანს ეს კავშირი ვერ გრძელდება და 1937 წელს განქორწინების პროცესი იწყება. 1940 წლისთვის ის უკან ბრუნდება, სანტიაგოში. ამდენი რამ მოხდა, თავისი უიღბლო სიყვარული კი მარია ლუიზას ისევ მწარედ ახსოვს, არანაირად არ ავიწყდება.

და აი, 1941 წლის 27 იანვარს ის ქუჩაში მიდის, სასტუმრო „Crillón"-ისკენ გაუწევია, რომელიც იმ პერიოდში სანტიაგოს ელიტის თავშეყრის ადგილია. რევოლვერი შეუძენია. უნდა, რომ რვა წლის უნახავი ელოჯიო სანჩეს ერაზურისი ნახოს და სად ნახავს, თუ არა იქ. სასტუმროს სიახლოვეს ჩერდება და წრიალებს, ელოდება... 5 საათისკენ მართლა ჩნდება სახელგანთქმული ავიატორი. მარია ლუიზა „Crillón"-ის შესასვლელ კართან სამჯერ დაახლის ტყვიას ადამიანს, რომელმაც მისი სიყვარული ვერ მიიღო. მაგრამ ტყვიები მხოლოდ ხელზე ხვდება უმადურ ელოჯიოს. დაპატიმრებული მწერალი სულ რამდენიმე თვე ზის ციხეში, რადგან დაზარალებული მას ბრალს არ სდებს და მის დასჯას არ მოითხოვს. პირიქით, ცდილობს კიდეც, რომ ხელი შეუწყოს მის გათავისუფლებას.